საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იმნაძე ვლადიმერ გურამის ძე

იმნაძე ვლადიმერ გურამის ძე (დ. 27. XII. 1954, ბათუმი), ბრიგადის გენერალი (2003).

დაამთავრა თბილ. უმაღლესი საარტ. სასწავლებელი (1976), სანქტ-პეტერბურგის უმაღლესი სამხედრო აკადემია (1986). 1999–2000 იყო დასავლეთის ოპერატიული მიმართულების სარდლის I მოადგილე, 2000–01 – სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი, 2002–03 – საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი. 2016-იდან არის ვეტერანთა საქმეების სახელმწ. სამსახურის დირექტორი.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

ლ. დოლიძე